



## კოალიცია ეხმაურება პრეზიდენტის მიერ ორ საკანონმდებლო აქტზე ვეტოს დადებას

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის 24 აპრილს პრეზიდენტმა ვეტო დაადო „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონსა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატან ცვლილებებს.

კოალიცია ეხმაურება აღნიშნულ ფაქტს და კიდევ ერთხელ გამოხატავს საკუთარ პოზიციას თითოეულ კანონპროექტთან დაკავშირებით.

მოგეხსენებათ, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში შესატანმა ცვლილებებმა რამდენიმეჯერ განიცადა ცვლილება. კანონპროექტის დახვეწის პროცესში ჩართული იყვნენ როგორც ვენეციის კომისიის ექსპერტები, ისე კოალიციის წევრი ორგანიზაციები. კონსულტაციები მიმდინარეობდა სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებთანაც. კანონპროექტის ინიციატორებმა გაითვალისწინეს სხვადასხვა სუბიექტის მიერ წარდგენილი რეკომენდაციების ძირითადი ნაწილი, მათ შორის, საბჭოს წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტასთან, საპარლამენტო უმცირესობის ჩართულობის უზრუნველყოფასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით, რითაც გაუმჯობესდა პროექტის თავდაპირველი ვერსია. შეთანხმება მიღწეულ იქნა სასამართლო ხელისუფლებასთანაც. შედეგად, როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ, ისე ვენეციის კომისიის პრეზიდენტმა დააფიქსირეს, რომ იზიარებენ კანონპროექტისა და რეფორმის სულისკვეთებას.

მიუხედავად ამისა, საქართველოს პრეზიდენტმა ვეტო დაადო კანონპროექტს, რაც ნიშნავს იმას, რომ პროცესი გაგრძელდება პარლამენტში, რაც კანონმდებლობის მიხედვით დამატებით დროსა და პროცედურებს მოითხოვს. კოალიციას მიაჩნია, რომ პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი რეფორმის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს, რაც უდავოდ აძლიერებს სასამართლო ხელისუფლებას და ზრდის მისი დამოუკიდებლობის შესაძლებლობებს. კანონპროექტის დროული ამოქმედება კი მართლმსაჯულების სისტემისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. პრეზიდენტის მიერ ვეტოს დადება კი შესაძლოა მნიშვნელოვნად შეაფერხოს ეს პროცესი, რაც პირველ რიგში, სასამართლოს ინტერესებს დააზიანებს.

რაც შეეხება, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტთან დაკავშირებულ ცვლილებას, რომელიც ასევე პრეზიდენტის ვეტოს ობიექტი გახდა, კოალიცია კვლავ რჩება პოზიციაზე, რომ ეს კანონპროექტი მნიშვნელოვან გადამუშავებას საჭიროებს. გამომდინარე იქედან, რომ საკითხი ეხება ბრალდებულის ლეგიტიმურ ინტერესს, მნიშვნელოვანია ბალანსი იქნეს დაცული დაცვასა და ბრალდებას შორის და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე უარის თქმა მხოლოდ პროკურატურის პოზიციაზე არ იყოს დამოკიდებული. ამისათვის საჭიროა, პარლამენტმა როგორც მინიმუმ დააფიქსიროს კანონპროექტში, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამართვასთან დაკავშირებით იღებს სასამართლო, რომელსაც დასაბუთებულ შუამდგომლობას წარუდგენს არამხოლოდ დაცვის არამედ ბრალდების მხარეც.

## კოალიციის წევრები:

კონსტიტუციის 42-ე მუხლი  
მრავალეროვანი საქართველო  
სოლიდარობა უკანონო  
პატიმრებს  
საქართველოს მცირე და  
საშუალო საწარმოთა  
ასოციაცია  
სამოქალაქო ინტეგრაციის  
ფონდი  
საქართველოს ადვოკატები  
დამოუკიდებელი  
პროფესიისათვის  
ბიზნესისა და ეკონომიკის  
ცენტრი  
ლიბერალი  
კონსტიტუციური უფლებების  
დაცვის ცენტრი  
სამართლიანი არჩევნებისა და  
დემოკრატიის  
საერთაშორისო საზოგადოება  
ასოციაცია მწვანე ტალღა  
კავშირი "21-ე საუკუნე"  
საქართველოს ახალგაზრდა  
იურისტთა ასოციაცია  
ადამიანის უფლებათა  
ცენტრი  
საერთაშორისო  
გამჭვირვალობა საქართველო  
დემოკრატ მესხთა კავშირი  
თავისუფლების ინსტიტუტი  
საქართველოს ადვოკატთა  
ასოციაცია  
სამოქალაქო  
განვითარების სააგენტო  
საქართველოს  
გაეროს ასოციაცია  
ევროპის იურისტ  
სტუდენტთა ასოციაცია  
სამოქალაქო საზოგადოების  
ინსტიტუტი  
ფონდი ღია საზოგადოება  
საქართველო  
დემოკრატიის ინსტიტუტი  
ამერიკის სავაჭრო პალატა  
სამოქალაქო ინიციატივების  
და დასაქმებულთა დაცვის  
ასოციაცია  
ევრაზიის თანამშრომლობის  
ფონდი  
ინფორმაციის თავისუფლების  
განვითარების ინსტიტუტი  
ადამიანის უფლებათა  
პრიორიტეტი  
თბილისის მედია კლუბი  
ადამიანის უფლებების  
სწავლებისა და  
მონიტორინგის ცენტრი

დასკვნის სახით კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ მნიშვნელოვანია მხედველობაში იქნეს მიღებული მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი მართლმსაჯულების რეფორმის დროულად და ეფექტურად წარმართვასთან დაკავშირებით. ამას კი დიდწილად „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების დროულად ამოქმედება განაპირობებს. ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანია, პარლამენტმა დამატებით გააგრძელოს მუშაობა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე უარის თქმასთან დაკავშირებით.

დავით ასათიანი

კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე  
მართლმსაჯულებისათვის თავმჯდომარე

კახა კოჭორიძე

კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე  
მართლმსაჯულებისათვის თავმჯდომარის მოადგილე